



2022

შპს „ნავნე“

ფინანსური ანგარიშგება და
მმართველობის ანგარიშგება

*2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2

ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

5

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

6

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

7

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა	9
2. მომზადების საფუძვლები	9
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	10
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	14
5. შემოსავალი	15
6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15
7. რეალიზაციისა და მიწოდების დანახარჯები	15
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16
9. საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება, წმინდა	16
10. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯი	16
11. ძირითადი საშუალებები	17
12. არამატერიალური აქტივები	18
13. მარაგები	18
14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19
15. მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი	19
16. გაცემული სესხები	19
17. საგადასახადო ვალდებულებები / აქტივები	20
18. ფული და ფულის ეკვივალენტები	20
19. მიღებული სესხები	21
20. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22
21. საწესდებო კაპიტალი და გამოცხადებული დივიდენდი	22
22. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები	22
23. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	24

მმართველობის ანგარიშგება

25

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ნავნე“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას:

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი *შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების* - „ნავნე“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება - ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „*პირობითი მოსაზრების საფუძველი*“ - აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის *მცირე და საშალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების* („მსს ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

იქიდან გამომდინარე, რომ კომპანიის აუდიტორად ჩვენ დავინიშნეთ 2023 წლის 30 ივნისს, ვერ შევძელით დავსწრებოდით მარაგების ინვენტარიზაციის პროცესს 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჩვენ სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით მიგვეღო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება მარაგების ფაქტობრივ მდგომარეობასა და რაოდენობაზე, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შესაბამისად 10,357,559 და 6,405,982 ლარის ოდენობით. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხულ თუ აღურიცხავ მარაგებთან დაკავშირებით, აგრეთვე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის, ვინაიდან მარაგების ნაშთი მონაწილეობს ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსაზღვრაში.

ჩვენ ასევე ვერ შევძელით დავსწრებოდით კომპანიის ნაღდი ფულის დათვლის პროცესს 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჩვენ სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით მიგვეღო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება ნაღდი ფულის ნაშთზე, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შესაბამისად 238,962 და 138,842 ლარის ოდენობით. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხულ თუ აღურიცხავ ნაღდი ფულის ნაშთთან დაკავშირებით, აგრეთვე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები კომპანიის ერთ-ერთი მომწოდებელთან არსებული ნაშთის სისწორესთან დაკავშირებით, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შესაბამისად 45,527 ლარის სავაჭრო ვალდებულებისა და 360,244 ლარის გადახდილი ავანსის სახით. ჩვენ სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით მიგვეღო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება აღნიშნული ნაშთების სისწორესთან დაკავშირებით. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მომწოდებელთან არსებულ აღრიცხულ თუ აღურიცხავ ნაშთებთან დაკავშირებით, აგრეთვე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის.

აუდიტი ჩავატარეთ *აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების* („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „*აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*“.

ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისგან *ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების* საბჭოს („ბესს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას

საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოება - შესადარისი ინფორმაცია არ არის აუდიტირებული

წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე არ არის აუდიტირებული. მიუხედავად ამისა, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, ჩვენ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება, რომ 2022 წლის საწყისი ნაშთები არ მოიცავს უზუსტობებს, რომლებიც არსებით გავლენას მოახდენდა მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სხვა ინფორმაცია - კომპანიის მმართველობითი ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი პირობითი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებებზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგებების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა ფინანსურ ანგარიშგებებთან არსებითად თანხვედრილი და მარეგულირებელი ნორმატიულ აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, ჩვენ უნდა განვაცხადოთ ეს ფაქტი. ამასთან დაკავშირებით, არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის

აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვვალდებულებს ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ხელმძღვანელობას, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, კომპანიის 2022 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხვედნილია 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნექსია თიეი“ (SARAS-F-550338)

30 ნოემბერი, 2023

თბილისი, საქართველო

აუდიტორული საფუძვლის შესაქმნელად, რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შეფასებით აუდიტორისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დაეფუძნებოდნენ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოეთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან გეგმ გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ ვადასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვუვალდა ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები აღუკვეთავს არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გაგვლით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ხელმძღვანელობას, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული საშუაოების საფუძველზე, კომპანიის 2022 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხედენილია 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნექსია თიბი“ (SARAS-F-550338)

30 ნოემბერი, 2023

თბილისი, საქართველო




Closer to you

შპს „ნავენე“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი	5	26,417,110	21,900,311
რელიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(9,730,357)	(7,406,029)
საერთო მოგება		16,686,753	14,494,282
რელიზაციისა და მიწოდების ხარჯები	7	(7,727,606)	(5,849,452)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(3,219,988)	(2,719,482)
საოპერაციო მოგება		5,739,159	5,925,348
საპროცენტო შემოსავლები		96,552	43,485
საპროცენტო ხარჯები		(362,002)	(519,631)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება	9	1,029,187	479,653
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	10	693	12,342
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	10	(287,604)	(31,554)
მოგება დაბეგვრამდე		6,215,985	5,909,643
მოგების გადასახადის ხარჯი	21	(130,031)	(139,319)
წლის წმინდა მოგება		6,085,954	5,770,324
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		6,085,954	5,770,324

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 30 ნოემბერს:

ეკატერინე ნადირაძე
დირექტორი

ნინო კერესელიძე
მთავარი ბუღალტერი

შპს „ნავენე“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5	26,417,110	21,900,311
საერთო მოგება	6	(9,730,357)	(7,406,029)
		16,686,753	14,494,282
რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები	7	(7,727,606)	(5,849,452)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(3,219,988)	(2,719,482)
საოპერაციო მოგება		5,739,159	5,925,348
საპროცენტო შემოსავლები		96,552	43,485
საპროცენტო ხარჯები		(362,002)	(519,631)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება	9	1,029,187	479,653
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	10	693	12,342
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	10	(287,604)	(31,554)
მოგება დაბეგვრამდე		6,215,985	5,909,643
მოგების გადასახადის ხარჯი	21	(130,031)	(139,319)
წლის წმინდა მოგება		6,085,954	5,770,324
სხვა სრული შემოსავალი			
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		6,085,954	5,770,324

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 30 ნოემბერს:

ეკატერინე ნადირაძე
დირექტორი

ნინო კერესელიძე
მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 9-24 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	11	1,593,890	1,408,700	1,116,317
არამატერიალური აქტივები	12	39,578	46,002	52,426
გაცემული სესხები, გრძელვადიანი	16	-	119,824	125,530
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,633,468	1,574,526	1,294,273
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	13	11,716,583	7,765,006	4,545,974
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	15	874,027	1,167,028	739,902
გაცემული სესხების მიმდინარე ნაწილი	16	1,926,772	784,854	447,329
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	97,894	47,497	584,070
საგადასახადო აქტივი	17	-	-	289,186
ფული და ფულის ეკვივალენტები	18	587,909	488,700	245,767
სულ მიმდინარე აქტივები		15,203,185	10,253,085	6,852,228
სულ აქტივები		16,836,653	11,827,611	8,146,501
კაპიტალი და ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	19	810,323	1,868,350	7,139,988
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		810,323	1,868,350	7,139,988
მიმდინარე ვალდებულებები				
მიღებული ავანსები				
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	19	4,617,036	5,218,429	1,069,341
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20	2,315,508	1,353,450	1,645,515
საგადასახადო ვალდებულებები	17	472,165	114,874	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		7,404,709	6,686,753	2,714,856
სულ ვალდებულებები		8,215,032	8,555,103	9,854,844
კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	21	8,621,621	3,272,508	(1,708,343)
სულ კაპიტალი		8,621,621	3,272,508	(1,708,343)
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		16,836,653	11,827,611	8,146,501

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 30 ნოემბერს:

ეკატერინე ნადირაძე
დირექტორი

ნინო კერესელიძე
მთავარი ბუღალტერი

შპს „ნავნე“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართული ლარი)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	11	1,593,890	1,408,700	1,116,317
არამატერიალური აქტივები	12	39,578	46,002	52,426
გაცემული სესხები, გრძელვადიანი	16	-	119,824	125,530
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,633,468	1,574,526	1,294,273
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	13	11,716,583	7,765,006	4,545,974
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	15	874,027	1,167,028	739,902
გაცემული სესხების მიმდინარე ნაწილი	16	1,926,772	784,854	447,329
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	97,894	47,497	584,070
საგადასახადო აქტივი	17	-	-	289,186
ფული და ფულის ეკვივალენტები	18	587,909	488,700	245,767
სულ მიმდინარე აქტივები		15,203,185	10,253,085	6,852,228
სულ აქტივები		16,836,653	11,827,611	8,146,501
კაპიტალი და ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	19	810,323	1,868,350	7,139,988
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		810,323	1,868,350	7,139,988
მიმდინარე ვალდებულებები				
მიღებული ავანსები				
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	19	4,617,036	5,218,429	1,069,341
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20	2,315,508	1,353,450	1,645,515
საგადასახადო ვალდებულებები	17	472,165	114,874	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		7,404,709	6,686,753	2,714,856
სულ ვალდებულებები		8,215,032	8,555,103	9,854,844
კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	21	8,621,621	3,272,508	(1,708,343)
სულ კაპიტალი		8,621,621	3,272,508	(1,708,343)
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		16,836,653	11,827,611	8,146,501

ხელმოწერილია და ბეზადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 30 ნოემბერს:

გვანუკიძე ნადირაძე
დირექტორი

ნინო კერესელიძე
მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 9-24 გვერდებზე წარმოდგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „ნაენე“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

	შენიშვნა	გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	სულ
31 დეკემბერი 2020		(1,708,343)	(1,708,343)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		5,770,324	5,770,324
გამოცხადებული დივიდენდი	21	(789,473)	(789,473)
31 დეკემბერი 2021		3,272,508	3,272,508
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		6,085,954	6,085,954
გამოცხადებული დივიდენდი	21	(736,841)	(736,841)
31 დეკემბერი 2022		8,621,621	8,621,621

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 30 ნოემბერს:

ეკატერინე ნადირაძე
დირექტორი

ნინო კერესელიძე
მთავარი ბუღალტერი

შპს „ნავნე“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

	შენიშვნა	გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	სულ
31 დეკემბერი 2020			
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		(1,708,343)	(1,708,343)
გამოცხადებული დივიდენდი	21	5,770,324	5,770,324
31 დეკემბერი 2021		(789,473)	(789,473)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		3,272,508	3,272,508
გამოცხადებული დივიდენდი	21	6,085,954	6,085,954
31 დეკემბერი 2022		(736,841)	(736,841)
		8,621,621	8,621,621

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 30 ნოემბერს:

მატეონე ნადირაძე
დირექტორი

ნინო კერესელიძე
მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 9-24 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

შპს „ნაენე“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

	შენიშვნა	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები		31,083,970	25,840,063
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები		(17,127,240)	(15,013,130)
თანამშრომლებზე გაცემული ხელფასი		(6,184,250)	(4,631,208)
გადახდილი გადასახადი		(4,039,220)	(3,183,710)
სხვა გადახდილი თანხები		(372,388)	(339,355)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		3,360,872	2,672,660
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(269,715)	(342,955)
სესხის გაცემა	16	(1,425,032)	(572,000)
გაცემული სესხის დაბრუნება	16	240,112	200,000
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(1,454,635)	(714,955)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდი	21	(736,842)	(789,474)
გადახდილი პროცენტი	19	(447,403)	(514,568)
მიღებული სესხი	19	2,544,613	5,683,299
მიღებული სესხის ძირის დაფარვა	19	(3,160,164)	(6,091,066)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(1,799,796)	(1,711,809)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა წლის განმავლობაში			
106,441		245,896	
საკურსო სხვაობის ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტზე	9	(7,232)	(2,963)
ფულადი სახსრები საანგარიშო წლის დასაწყისისთვის	18	488,700	245,767
ფულადი სახსრები საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის	18	587,909	488,700

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 30 ნოემბერს:

ეკატერინე ნადირაძე
დირექტორი

ნინო კერესელიძე
მთავარი ბუღალტერი

შპს „ნავენ“
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

	შენიშვნა	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები		31,083,970	25,840,063
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები		(17,127,240)	(15,013,130)
თანამშრომლებზე გაცემული ხელფასი		(6,184,250)	(4,631,208)
გადახდილი გადასახადი		(4,039,220)	(3,183,710)
სხვა გადახდილი თანხები		(372,388)	(339,355)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		3,360,872	2,672,660
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(269,715)	(342,955)
სესხის გაცემა	16	(1,425,032)	(572,000)
გაცემული სესხის დაბრუნება	16	240,112	200,000
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული			
წმინდა ფულადი სახსრები		(1,454,635)	(714,955)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდი	21	(736,842)	(789,474)
გადახდილი პროცენტი	19	(447,403)	(514,568)
მიღებული სესხი	19	2,544,613	5,683,299
მიღებული სესხის ძირის დაფარვა	19	(3,160,164)	(6,091,066)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(1,799,796)	(1,711,809)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა წლის განმავლობაში		106,441	245,896
საკუროს სხვაობის ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტზე	9	(7,232)	(2,963)
ფულადი სახსრები საანგარიშო წლის დასაწყისისთვის	18	488,700	245,767
ფულადი სახსრები საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის	18	587,909	488,700

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 30 ნოემბერს:

პატრიკ ნადირაძე
 დირექტორი

ნინო კერესელიძე
 მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 9-24 გვერდებზე წარმოდგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ნავნე“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2011 წლის 30 მარტს და მდებარეობს საქართველოში, საიდენტიფიკაციო ნომრით 401957218. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა იმპორტირებული ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, კოსმეტიკური და პარფიუმერიის ნაწარმით. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, 0154, თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, დიდუბის ქუჩა #21.

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის უშუალო მფლობელები არიან დავით გიგაური და ეკატერინე ნადირაძე 50% - 50% წილებით.

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის გენერალური დირექტორია ეკატერინე ნადირაძე.

2. მომზადების საფუძვლები

ზოგადი ინფორმაცია

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) მიხედვით, რაც გამოქვეყნებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

კომპანიის მიერ მოცემული ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოხდა მსს ფასს 35 „მსს ფასს-ზე გადასხვა“ მოთხოვნების შესაბამისად.

კომპანიის მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღი არის 2021 წლის 1 იანვარი.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა ის სტანდარტები, ინტერპრეტაციები და პოლიტიკა, რომლებიც ძალაშია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) მიხედვით, რაც გამოქვეყნებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით თუ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში სხვაგვარად არ არის მითითებული.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 კალენდარულ წელს: 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, კომპანიის მომგებიანობა, კაპიტალის ოდენობა და საჭიროების შემთხვევაში ფინანსურ რესურსებზე წვდომა.

გახორციელდა არსებული სიტუაციის პირობებში სამომავლო პერსპექტივის შეფასება და კომპანიის ძლიერი ფინანსური მაჩვენებლების გათვალისწინებით ხელმძღვანელობა დარწმუნებულია კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული

ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის ფულადი ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
1 USD/GEL	2.7020	3.0976	3.2766
1 EUR/GEL	2.8844	3.5040	4.0233

საშუალო კურსი წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

	2022	2021
1 USD/GEL	2.9156	3.2209
1 EUR/GEL	3.0792	3.8140

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ“ კატეგორიის მიხედვით ეფექტური საპროცენტო გაკანკეთის გამოყენებით.

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვის გარიგებების აღიარება ხდება გარიგების თარიღით აღრიცხვის მეშვეობით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვის გარიგებები ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც

მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში. კომპანიის მიერ ფლობილი ფინანსური აქტივები მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს, სავაჭრო მოთხოვნებს და მომწოდებლებზე გადახდილ ავანსებს.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების (ან ფინანსური აქტივების თუ ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულებების წმინდა საბალანსო მოკლე პერიოდის განმავლობაში. ფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას მომსახურების გაწევის ან საქონლის მიწოდების სანაცვლოდ კლიენტებისგან მიღებული თანხები. თუ თანხების მიღება ერთი წლის განმავლობაში ან უფრო ნაკლებ ვადაში (ან საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, თუ უფრო ხანგრძლივია) არის მოსალოდნელი, ეს აქტივები მიმდინარე (მოკლევადიან) აქტივებად აისახება.

თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულს ბანკში, რომელიც ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო მოსაკრებელს და გადასახადს, ტრანსპორტირების, დატვირთვის და სხვა დანახარჯებს, რაც პირდაპირ არის მიკუთვნებადი საქონლის შეძენაზე. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი საქმიანობისას, შემცირებული შეფასებული დასრულების და გაყიდვის ხარჯებით.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ზარალი. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან, კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში.

კომპანია არ ფლობს მიწას. შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები გამოიყენება ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებისთვის:

	სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში
მიწა	არაცვეთადი
შენობა	20-40
სატრანსპორტო საშუალებები	8-10
საოფისე აღჭურვილობა	5-8
კომპიუტერები და სხვა ტექნიკა	5-8
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-8
უსაფრთხოების სისტემები და სხვა	5-8
იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	10-15

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება, მარაგების გარდა

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, გაუფასურების ხარჯის აღიარების გზით. გაუფასურების ხარჯის გაანგარიშება ხდება აქტივის აღდგენით ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უმეტესი.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გაუფასურების შესაფასებლად, აქტივები ჯგუფდება იმ დონემდე სადაც შესაძლებელია განცალკევებულად ფულადი სახსრების მოძრაობის იდენტიფიცირება. ყოველი სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს, არაფინანსური აქტივებზე, გუდვილის გარდა, რაზეც მოხდა გაუფასურება, ხდება იმის შეფასება გასაუქმებელი ხომ არ არის გაუფასურების ხარჯი.

გადახდილი ავანსები

საავანსო გადახდები აღირიცხება გადახდის ფაქტობრივი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურება. თუ არის იმის ინდიკატორები, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი და მომსახურება არიქნება მიღებული, საავანსო გადახდების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის მოცულობა და მისი ცვლილებები განისაზღვრება კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებით.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლებისგან.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. კომპანია შემოსავალს საქონელის რეალიზაციიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. თითოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით საწარმო ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებებს; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს;

გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლისა ან მომსახურების გადაცემას მომხმარებელზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აისახება ყველა სავალო ინსტრუმენტთან მიმართებით დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მეშვეობით. აღნიშნული მეთოდით, საპროცენტო შემოსავლებსა და ხარჯებში კლასიფიცირდება ხელშეკრულების მხარეების მიერ გადახდილი და მიღებული ყველა საზღაური, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, საოპერაციო ხარჯები და ყველა სხვა პრემია და დისკონტი.

საზღაურები, რომლებიც წარმოადგენენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, მოიცავენ საზღაურებს, რომლებიც მიღებულ ან გადახდილ იქნა სუბიექტის მიერ ფინანსური აქტივის შექმნასა ან შეძენასთან ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან დაკავშირებით, მაგალითად როგორცაა კრედიტუნარიანობის დადგენისთვის, გარანტიებისა თუ უზრუნველყოფის შეფასებისთვის, ინსტრუმენტის პირობების შეთანხმებისთვის და გარიგებასთან დაკავშირებული დოკუმენტების დამუშავების საზღაურები.

მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები

კომპანიამ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განცალკევებულად ასახა აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე. კომპანიამ აქტივი განიხილა როგორც მოკლევადიანი თუ იგი:

- ▶ აქტივს ძირითადად ფლობს სავაჭრო დანიშნულებით;
- ▶ აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს, ან მიზნად ისახავს მის გაყიდვას ან მოხმარებას ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

სხვა დანარჩენი აქტივები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად მიიჩნევა თუ:

- ▶ მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- ▶ უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში; ან
- ▶ საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სხვა დანარჩენი ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

როგორც განსაზღვრულია მის ფასს - ით „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“, წარმოადგენს:

პირს ან საწარმო, რომელიც დაკავშირებულია იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ანგარიშვალდებული საწარმო).

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

- (i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- (ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან
- (iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- (i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მის ფასს - 2015 წ. მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);
- (ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;
- (iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;
- (v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დაქირავებულებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;
- (vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
- (vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;
- (viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

მარაგების მნიშვნელოვანი დაშვებები

მარაგები მოცემულია ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესით და კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს იყენებს მსჯელობას და დაშვებებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ფასის განსაზღვრად.

მარაგების ხანდაზმულობის ვადის გამო, კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას ვადაგასული და „ნელა მოძრავ“ მარაგებზე და შემდეგ ჩამოწერს მარაგების ღირებულებას წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე. წმინდა სარეალიზაციო ღირებულების განსაზღვრა ძირითადად დამოკიდებულია კონკრეტული დროის პერიოდში მოსალოდნელ მომავალ მოთხოვნაზე.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები

ნორმალურ ბიზნეს პირობებში, კომპანია ახორციელებს ტრანზაქციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება ხდება მათი რეალური ღირებულებების საფუძველზე. როცა ასეთი ოპერაციებისთვის არ არის აქტიური ბაზარი, გადაწყვეტილებები მიიღება იმის განსაზღვრით ოპერაციები ბაზრის ფასით არის შეფასებული, თუ არა. ასეთი მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს მსგავსი გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებთან.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება განსჯის შედეგად მსგავსი აქტივების გამოცდილების საფუძველზე. აქტივებში შემავალი მომავალი ეკონომიკური სარგებელი გამოიყენება მოხმარების დროს. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორცაა ტექნიკური ან კომერციული დაძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში შემავალი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობა ნარჩენ მომსახურების ვადას განსაზღვრავს მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით და აფასებს რა პერიოდის განმავლობაში შეუძლია კომპანიას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი. ამ შეფასების პროცესში კომპანია ითვალისწინებს შემდეგ ფაქტორებს: ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებსა და ტექნიკურ მომსახურებაზე; და გ) ტექნიკური ან კომერციული დაძველება, რომელიც გამოდინარეობს ბაზრის პირობების ცვლილებებისაგან.

5. შემოსავალი

შემოსავალი 2022 და 2021 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2022	2021
ტანსაცმელი	11,353,886	9,984,338
კოსმეტიკა	4,665,577	3,417,049
ფეხსაცმელი	4,057,170	2,976,884
ჰიგიენური საშუალებები	2,825,639	2,727,507
ჩანთა	1,218,023	556,845
აქსესუარები	1,101,555	886,363
სუნამო	991,751	1,024,148
სხვა	203,509	327,177
სულ შემოსავალი	26,417,110	21,900,311

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2022 და 2021 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2022	2021
ტანსაცმელი	4,031,866	2,851,890
კოსმეტიკა	1,501,937	1,176,076
ფეხსაცმელი	1,478,607	1,127,850
ჰიგიენური საშუალებები	1,147,438	1,095,365
ჩანთა	626,337	213,058
სუნამო	438,897	450,335
აქსესუარები	346,269	252,801
სხვა	159,006	238,654
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	9,730,357	7,406,029

7. რეალიზაციისა და მიწოდების დანახარჯები

რეალიზაციისა და მიწოდების დანახარჯები 2022 და 2021 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2022	2021
შრომის ანაზღაურება	4,242,954	3,008,381
იჯარა	2,652,495	2,090,259
კომუნალური	308,330	270,336
მარკეტინგი	222,170	222,987
სარეკლამო	136,785	122,590
საწვავი	96,212	84,559
ცვეთა და ამორტიზაცია	68,660	50,340
სულ რეალიზაციისა და მიწოდების დანახარჯები	7,727,606	5,849,452

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2022 და 2021 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2022	2021
შრომის ანაზღაურება	2,186,349	1,686,795
ბანკის მომსახურება	374,806	329,662
ცვეთა და ამორტიზაცია	113,478	93,133
კომუნიკაცია	79,169	60,893
საოფისე	47,434	46,341
მივლინება	29,760	21,471
კომუნალურის ხარჯი	28,223	25,473
პროგრამული უზრუნველყოფა	26,608	21,449
დაზღვევა	24,441	18,768
საეჭვო მოთხოვნების რეზერვი	20,202	132,766
საგადასახადო ხარჯი (მოგების გადასახადის გარდა)	14,296	12,883
წარმომადგენლობითი	3,365	1,764
საქველმოქმედო	1,485	1,275
სხვა საერთო ხარჯი	270,372	266,809
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	3,219,988	2,719,482

9. საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება, წმინდა

საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება 2022 და 2021 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2022	2021
ფული და ფულის ეკვივალენტები	(7,232)	(2,963)
გრძელვადიანი სესხები	1,026,414	611,189
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10,005	(128,573)
სულ საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება, წმინდა	1,029,187	479,653

10. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯი

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯი 2022 და 2021 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

არასაოპერაციო შემოსავალი	2022	2021
არასამეწარმეო შემოსავალი	693	-
სხვა	-	12,382
სულ არასაოპერაციო შემოსავალი	693	12,382
არასაოპერაციო ხარჯები	2022	2021
სესხის გაუფასურება	(239,657)	-
საურავი	(38,264)	(20,591)
ჯარიმა	(2,183)	(10,963)
სხვა ხარჯები	(7,500)	(40)
სულ არასაოპერაციო ხარჯები	(287,604)	(31,594)

11. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწა	შენობა- ნაგებობები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	კომპიუტერული ტექნიკა	უსაფრთხოების სისტემა და სხვა	იჯარით აღებული	ჯამი
ისტორიული ღირებულება									
31 დეკემბერი, 2020	231,089	339,994	186,378	196,339	79,832	29,684	91,189	257,120	1,411,625
შეძენა	-	-	137,419	58,678	101,874	2,780	13,653	121,462	435,866
ჩამოწერა / გასვლა	-	-	-	-	-	-	-	(8,307)	(8,307)
31 დეკემბერი, 2021	231,089	339,994	323,797	255,017	181,706	32,464	104,842	370,275	1,839,184
შეძენა	-	-	150,385	66,291	11,813	25,640	29,425	78,385	361,939
ჩამოწერა / გასვლა	-	-	-	(1,035)	-	-	-	-	(1,035)
31 დეკემბერი, 2022	231,089	339,994	474,182	320,273	193,519	58,104	134,267	448,660	2,200,088
დაგროვებული ცვეთა									
31 დეკემბერი, 2020	-	33,999	65,816	64,359	26,646	9,344	32,622	62,522	295,308
წლის ცვეთა	-	8,500	29,780	27,604	14,838	3,912	13,299	39,116	137,049
ჩამოწერა / გასვლა	-	-	-	-	-	-	-	(1,873)	(1,873)
31 დეკემბერი, 2021	-	42,499	95,596	91,963	41,484	13,256	45,921	99,765	430,484
წლის ცვეთა	-	8,500	41,911	36,660	23,518	5,691	15,321	44,113	175,714
ჩამოწერა / გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2022	-	50,999	137,507	128,623	65,002	18,947	61,242	143,878	606,198
წმინდა საბალანსო ღირებულება									
31 დეკემბერი, 2021	231,089	297,495	228,201	163,054	140,222	19,208	58,921	270,510	1,408,700
31 დეკემბერი, 2022	231,089	288,995	336,675	191,650	128,517	39,157	73,025	304,782	1,593,890

სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს შესაბამისად 50,112 და 25,949 ლარს.

ძირითადი საშუალებები არ არის დატვირთული მესამე პირის სასარგებლოდ.

12. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საბუღალტრო პროგრამა
ისტორიული ღირებულება	
31 დეკემბერი, 2020	66,432
შემენა	-
31 დეკემბერი, 2021	66,432
შემენა	-
31 დეკემბერი, 2022	66,432
დაგროვებული ცვეთა	
31 დეკემბერი, 2020	14,006
წლის ცვეთა	6,424
31 დეკემბერი, 2021	20,430
წლის ცვეთა	6,424
31 დეკემბერი, 2022	26,854
წმინდა საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი, 2021	46,002
31 დეკემბერი, 2022	39,578

13. მარაგები

მარაგები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
ტანსაცმელი	4,173,169	2,371,736	781,813
ჰიგიენური საშუალებები	1,512,037	1,109,270	1,251,135
კოსმეტიკა	1,507,822	1,373,921	1,051,593
საქონელი გზაში	1,359,024	1,359,024	-
ფეხსაცმელი	985,944	666,626	809,067
აქსესუარები	734,196	590,750	471,621
ჩანთა	327,152	58,829	84,410
სუნამო	213,352	230,118	94,323
სხვა	903,887	4,732	2,012
სულ მარაგები	11,716,583	7,765,006	4,545,974

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გაყიდული პროდუქციის თვითღირებულებაში ხარჯის სახით აღიარებული მარაგის ღირებულება 2022 და 2021 წლისთვის შესაბამისად შეადგენს 9,730,357 და 7,406,029 ლარს.

კომერციული ბანკის მიერ გირავნობით დატვირთული მარაგების ღირებულება, რა ნიშნულსაც არ უნდა ჩამოცდეს კომპანიის მარაგების ნაშთი, 2022 წლის 25 ივლისის შეფასების აქტის საფუძველზე განისაზღვრა 1,105,976 აშშ დოლარად, რაც 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2,988,347 ლარს, ხოლო 2021 წლის 9 ივლისის შეფასების აქტის საფუძველზე განისაზღვრა 685,379 აშშ დოლარად, რაც 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2,123,030 ლარს.

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
სავაჭრო მოთხოვნები	250,864	180,262	584,070
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(152,970)	(132,765)	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	97,894	47,497	584,070

საექვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის მოძრაობის ანალიზი :

	2022	2021
ნაშთი წლის დასაწყისში	(132,765)	-
ზრდა წლის განმავლობაში	(20,205)	(132,765)
ნაშთი წლის ბოლოს	(152,970)	(132,765)

15. მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი

მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი ძირითადად შეადგენს უცხოური მომწოდებლებთან არსებულ ნაშთებს, კერძოდ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 874,027 ლარს, 2021 წლის დეკემბრის მდგომარეობით 1,167,028 ლარს ხოლო 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 739,902 ლარს.

2021 წლის ნოემბერში, ტერმინალში, სადაც კომპანია პროდუქციას ასაწყობებდა, ფინანსური სამსახურის მიერ აღმოჩენილი საოპერაციო დარღვევების გამო, დაილუქა ტერმინალზე არსებული ყველა კომპანიის კუთვნილი დასაწყობებული მარაგი. 2022 წლის იანვარში კომპანიას მიეცა შესაძლებლობა დაეთვალი და დაეხარისხებინა პროდუქცია, თუმცა განზაჟება/დეკლარირების უფლება საგამოძიებო პროცესის დასრულებამდე არ ქონდათ. სავაჭრო ვალდებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული მომწოდებლის მიმართ შეადგენს 360,244 ლარს, ხოლო გადახდილი ავანსი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 42,527 ლარს.

16. გაცემული სესხები

გაცემული სესხები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
დაკავშირებული მხარეებისგან:							
შპს კოდი	12%	ლარი	01-იან-2019	31-იან-2024	-	239,647	-
შპს დოკი	12%	ლარი	01-იან-2020	01-იან-2023	935,687	380,662	288,490
შპს გიგ თაუერი	12%	ლარი	01-იან-2021	30-ნოე-2023	991,085	284,369	284,369
სულ გაცემული სესხები					1,926,772	904,678	572,859
სესხის ძირი					1,492,980	547,706	251,060
მისაღები პროცენტი					433,792	356,972	321,799

კომპანიის გაცემულ სესხებში შემდეგი ცვლილებები განხორცილდა 2022 და 2021 წლების განმავლობაში:

	2022	2021
1 იანვრის მდგომარეობით	904,679	572,859
სესხის გაცემა	1,425,032	572,000
სესხის დაფარვა	(240,112)	(200,000)
მიღებულ სესხთან გაქვითვა	(19,732)	(83,666)
საპროცენტო შემოსავლის დარიცხვა	96,552	43,485
გაუფასურება	(239,647)	-
31 დეკემბრის მდგომარეობით	1,926,772	904,678

17. საგადასახადო ვალდებულებები / აქტივები

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდიტ, რომელიც გამოიყენება ყველა გადასახადისთვის. შედეგად, 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანია საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს წარადგენს ნეტო საფუძველზე როგორც ვალდებულებას, 472,165 ლარის ღირებულებით 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 114,874 ლარის ღირებულებით 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და აქტივს 289,186 ლარის ღირებულებით 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

18. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	238,962	138,842	131,051
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	231,660	168,219	13,119
ფული გზაში	117,286	181,155	101,590
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1	484	7
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	587,909	488,700	245,767

ფული გზაში წარმოადგენს კომპანიის ტერმინალებიდან მიღებულ თანხებს, რომლებიც საბანკო ანგარიშებზე პერიოდის შემდომ აისახება.

19. მიღებული სესხები

მიღებული სესხები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
დაკავშირებული მხარეებისგან:							
შპს კოდი	12%	ლარი	01-იან-2020	30-დეკ-2021	-	19,727	94,479
შპს გარმენტს ჰაბი	11%	ლარი	01-იან-2020	31-იან-2024	47,538	45,261	74,107
კომერციული ბანკებისგან:							
საქართველოს ბანკი (უცხოური)	7%	ევრო	19-აპრ-2019	13-აგვ-2021	336,613	336,613	6,029,093
პროკრედიტ ბანკი (უცხოური)	5%	ევრო	02-ივლ-2020	04-ოქტ-2023	1,442,176	1,751,976	2,011,650
ხალიკ ბანკი (უცხოური)	3.7%-4.5%	ევრო	12-აგვ-2021	12-თებ-2025	2,870,032	4,309,920	-
ხალიკ ბანკი (ეროვნული)	11.7%-13%	ლარი	16-აგვ-2021	16-აგვ-2024	731,000	623,282	-
სულ მიღებული სესხები					5,427,359	7,086,779	8,209,329
დარიცხული პროცენტი სესხის ძირით					26,832	44,286	114,299
					5,400,527	7,042,493	8,095,030

კომპანიის მიღებულ სესხებში შემდეგი ცვლილებები განხორცილდა 2022 და 2021 წლების განმავლობაში:

	2022	2021
1 იანვრის მდგომარეობით	7,086,779	8,209,329
სესხის მიღება	2,544,612	5,683,293
საკურსო სხვაობა	(1,026,414)	(611,183)
სესხის გადახდა	(3,160,164)	(6,124,647)
პროცენტის დარიცხვა	362,002	508,976
პროცენტის დაფარვა	(379,456)	(578,989)
31 დეკემბრის მდგომარეობით	5,427,359	7,086,779

20. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
სავაჭრო ვალდებულებები ეროვნულ ვალუტაში	1,859,424	1,013,124	1,186,318
საიჯარო ვალდებულება	346,940	181,205	113,967
სავაჭრო ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში	103,978	158,532	343,984
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,310,342	1,352,861	1,644,269

21. საწესდებო კაპიტალი და გამოცხადებული დივიდენდი

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 0 (ნულ) ლარს.

2022 წლისა და 2021 წლის განმავლობაში გამოცხადდა და გაიცა 736,842 და 789,474 ლარის დივიდენდი შესაბამისად. ხოლო მოგების გადასახადის ჯამურმა ხარჯმა 2022 და 2021 წლებში შესაბამისად შეადგინა 130,031 ლარი და 139,319 ლარი.

22. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები

თითოეული შესაძლო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის არსს, და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები წარმოდგენილია ქვემოთ:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	ურთიერთობა	31-დეკ-2022	31-დეკ-2021	1-იან-2021
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები				
შპს დოკი	საერთო მფლობელი	87,245	19,734	104,915
ეკატერინე ნადირაძე	მეწილე, დირექტორი	4,781	-	-
შპს პარფიუმი	მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ	814	814	814
შპს გარმენტს ჰაბი	საერთო მფლობელი	-	-	285,873
შპს კოდი	საერთო მფლობელი	(217,400)	(108,700)	137,013
გაცემული სესხები		1,926,783	904,679	572,859
შპს გიგ თაუერი	მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ	991,095	284,369	284,369
შპს დოკი	საერთო მფლობელი	935,688	380,663	288,490
შპს კოდი	საერთო მფლობელი	-	239,647	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		329,745	77,493	257,808
შპს დოკი	საერთო მფლობელი	253,598	35,376	7,281
შპს გარმენტს ჰაბი	საერთო მფლობელი	47,744	13,714	246,464
შპს პარფიუმი	მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ	28,403	28,403	4,063
მიღებული სესხები				
შპს გარმენტს ჰაბი	საერთო მფლობელი	47,538	45,261	74,107
შპს კოდი	საერთო მფლობელი	-	-	94,479

21. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები (გაგრძელება)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	ურთიერთობა	2022	2021
ამონაგები		79,462	28,662
შპს დოკი	საერთო მფლობელი	78,416	28,344
შპს გარმენტს ჰაბი	საერთო მფლობელი	1,046	233
შპს კოდი	საერთო მფლობელი	-	85
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		-	52
შპს დოკი	საერთო მფლობელი	-	52
რეალიზაციისა და მიწოდების დანახარჯები		70,079	68,136
შპს გარმენტს ჰაბი	საერთო მფლობელი	32,579	33,136
ეკატერინე ნადირაძე	მეწილე, დირექტორი	30,000	27,500
ვლადიმერ გიგაური	ოჯახის ახლო წევრი	7,500	7,500
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		322,543	387,524
შპს კოდი	საერთო მფლობელი	250,661	108,700
ვლადიმერ გიგაური	ოჯახის ახლო წევრი	70,131	172,365
ეკატერინე ნადირაძე	მეწილე, დირექტორი	1,495	106,162
შპს დოკი	საერთო მფლობელი	256	-
შპს გარმენტს ჰაბი	საერთო მფლობელი	-	297
საპროცენტო შემოსავლები		107,567	43,485
შპს დოკი	საერთო მფლობელი	70,095	35,172
შპს კოდი	საერთო მფლობელი	30,746	8,313
შპს გიგ თაუერი	მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ	6,726	-
საპროცენტო ხარჯები		2,278	13,654
შპს გარმენტს ჰაბი	საერთო მფლობელი	2,278	4,735
შპს კოდი	საერთო მფლობელი	-	8,919
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		2,109	998
ეკატერინე ნადირაძე	მეწილე, დირექტორი	1,995	998
შპს დოკი	საერთო მფლობელი	114	-
დივიდენდები		736,842	789,474
ეკატერინე ნადირაძე	მეწილე, დირექტორი	368,421	394,737
დავით გიგაური	მფლობელი	368,421	394,737
ხელმძღვანელობის ანაზღაურება		2022	2021
ხელფასები და სხვა თანამშრომელთა მოკლევადი სარგებელი		1,192,581	792,089

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 30 ნოემბერს, საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

- 2023 წლის მარტიდან აგვისტომდე კომპანიამ კომერციული ბანკიდან აიღო სესხი ჯამური ღირებულებით 3,469,235 ლარი (1,220,000 ევრო).
- ასევე გამოცხადდა და გაიცა 1,052,632 ლარის დივიდენდი
- მე-15 შენიშვნაში ნახსენები გარემოებების გამო ზაჰესის ტერმინალში დაკავებული მარაგების ნაწილი, დაახლოებით 80,000 დოლარის ღირებულების, განადგურდა ხანძრის შედეგად.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახავს.



2022

შპს ნავნე

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს ნავნე

2022 წლის მმართველობის ანგარიშგება

სარჩევი

მმართველობის ანგარიშგება:

სარჩევი

მმართველობის ანგარიშგება:.....	2
1. ისტორია, დამფუძნებლები და მმართველობა	3
2. ზოგადი ინფორმაცია სუბიექტის შესახებ	4
3. კომპანიის საქმიანობა	4
4. განვითარების გეგმები	4
5. ინფორმაცია ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების შესახებ.....	5

შპს ნავნე

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

1. ისტორია, დამფუძნებლები და მმართველობა

ზოგადი ინფორმაცია

შპს ნავნე (შემდგომში – “კომპანია”) წარმოადგენს “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის საფუძველზე და მათ შესაბამისად ჩამოყალიბებულ სამეწარმეო (კომერციულ) იურიდიულ პირს.

კომპანია დაფუძნდა 2011 წლის 30 მარტს.

2022 წლისთვის კომპანიის დამფუძნებლები და წილის მფლობელები არიან:

ფიზიკური პირი: დავით გიგაური 50%

ფიზიკური პირი: ეკატერინე ნადირაძე 50%

2022 წლის საანგარიშო პერიოდისთვის კომპანიის დირექტორი არის ეკატერინე ნადირაძე.

კომპანიამ ფუნქციონირება დაიწყო 7 თანამშრომლით. საქმიანობის გაფართოების კვალდაკვალ გაიზარდა დასაქმებულთა რაოდენობაც.

2022 და 2021 წლის განმავლობაში კომპანიას დასაქმებული ჰყავდა 450 და 400 თანამშრომელი შესაბამისად.

	2022	2021	ცვლილება
სამუშაო ადგილების რაოდენობა	450	400	50

აღსანიშნავია, რომ კომპანია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კადრების განათლების ხარისხს, გამოცდილებას და კომპეტენციას. კომპანიაში დასაქმებული თითქმის ყველა კადრი არის უმაღლესი განათლებით. კომპანიაში მუშაობს გამოცდილი და მაღალი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლების გუნდი, რაც კომპანიის წარმატებული საქმიანობის საფუძველია.

შპს ნავნე

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

2. ზოგადი ინფორმაცია სუბიექტის შესახებ

შპს ნავნე ს/კ 401957218 (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას საქართველოს კანონისა და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და მათ შესაბამისად ჩამოყალიბებულ სამეწარმეო (კომერციულ) იურიდიულ პირს.

კომპანია დაარსდა 2011 წელს. მარეგისტრირებული ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, დიდუბის ქ., №21.

კომპანიის დირექტორია ეკატერინე ნადირაძე (პ/ნ 01005020570).

3. კომპანიის საქმიანობა

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საცალო ვაჭრობა კოსმეტიკური და ტუალეტის ნაწარმით, ფეხსაცმლით, ტანსაცმლით, საყოფაცხოვრებო ჭურჭლით, თიხის ჭურჭლით, ფაიფურით და სამზარეულოს საკუთნოებით, საბითუმო ვაჭრობა პარფიუმერიით და კოსმეტიკით, საბითუმო ვაჭრობა ტანსაცმლის აქსესუარებით.

ქსელში გაერთიანებულია რამდენიმე კატეგორია, როგორც ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, აქსესუარები თუ კოსმეტიკა, ასევე თავის მოვლის საშუალებები და საყოფაცხოვრებო ქიმიკა. წარმოდგენილია როგორც ბიუჯეტური, ასევე სხვადასხვა ლუქს ბრენდების პროდუქცია.

ბიზნესის წარმოების პროცესში არსებული სირთულეების მიუხედავად, რაც გამოწვეულია ბაზრის ეკონომიკური მდგომარეობით, სავალუტო ფონითა თუ სხვა გარემო მიზეზებით, „ნავნე“ არ ღალატობს საკუთარ პრინციპებს და მიზანს, მუდმივად მუშაობს იმაზე, რომ ხარისხიანი პროდუქცია არ იყოს ფუფუნება და ხელმისაწვდომი იყოს ყველასთვის. მომხმარებელს სთავაზობს მუდმივად მისაღებ ფასებსა და მომსახურების მაღალ სტანდარტებს.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე „ნავნეს“ მიმართ საზოგადოებაში ლოიალურობა მატულობს და ქსელიც შესაბამისად ფართოვდება. სამომავლოდ დაგეგმილია როგორც ქსელის, ასევე კატეგორიების თუ ბრენდების რაოდენობის გაფართოვება.

კომპანიის ამონაგებმა 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის შეადგინა 26,417,110 ლარი და 21,900,311 ლარი შესაბამისად.

4. განვითარების გეგმები

განვითარების გზაზე კომპანიას ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა მოუწია, თუმცა დაუღალავი შრომის, მომხმარებლის მზარდი რაოდენობისა, თუ უცხოელ პარტნიორებთან ეტაპობრივად დამყარებული თანამშრომლობის შედეგად- „ნავნეს“ წინსვლა და განვითარება არ შეუჭერებია, რაც დღემდე წარმატებით გრძელდება.

კომპანია ბიზნესთან ერთად საქართველოში აუთლექტ სფეროსაც ავითარებდა, რომელიც იმ პერიოდისთვის ნაკლებად ცნობილი იყო. რითილის განსხვავებულ კონცეფციასთან ერთად მომხმარებელს მრავალი მსოფლიო ბრენდი გააცნო და შეაყვარა.

წლების წინ დაწყებული მცირე ბიზნესი, რომელიც წარმოდგენილი იყო მცირე რაოდენობის პროდუქციით-დღეს მომხმარებელს სთავაზობს მსოფლიოში წამყვანი ბრენდების პროდუქტს აუთლექტურ ფასად. დროთა განმავლობაში აუთლექტ პროდუქციასთან ერთად ქვეყანაში რამდენიმე ექსკლუზიური ბრენდიც შემოიტანა და კვლავაც აგრძელებს ახალ ბრენდებთან, უცხოელ პარტნიორებთან მუშაობას. პროდუქციის იმპორტი ხორციელდება ძირითადად აშშ-იდან და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან, ასევე დუბაიდან და ჩინეთიდან.

შპს ნავნე

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

„ნავნე“ დღეს უკვე ქვეყნის მასშტაბით 7 ქალაქში 22 ფილიალს და 450-მდე თანამშრომელს აერთიანებს. წარმატების ერთერთი მიზეზი კი ერთგულ და ლოიალურ მომხმარებელთან ერთად, „ნავნეს“ თანამშრომელთა დიდი გუნდია, რომელთა უმრავლესობაც კომპანიაში მისი დაარსების დღიდან მუშაობს.

დღესდღეობით მიმდინარეობს ახალი სამსართულიანი მაღაზიის გახსნა გლდანში, რაც ვიმედოვნებთ, პერსპექტივაში წარმატების მომტანი გახდება კომპანიისთვის. ასევე იგეგმება 2024 წლისთვის გორი მოლში და სხვა რეგიონებში მაღაზიების გახსნა.

5. ინფორმაცია ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების შესახებ

კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები შემდეგია:

	2022	2021
შემოსავალი	26,417,110	21,900,311
რელიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(9,730,357)	(7,406,029)
საერთო მოგება	16,686,753	14,494,282
რელიზაციისა და მიწოდების ხარჯები	(7,727,606)	(5,849,452)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(3,219,988)	(2,719,482)
საოპერაციო მოგება	5,739,159	5,925,348
საპროცენტო შემოსავლები	96,552	43,485
საპროცენტო ხარჯები	(362,002)	(519,631)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება	1,029,187	479,653
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	693	12,342
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(287,604)	(31,554)
მოგება დაბეგვრამდე	6,215,985	5,909,643
მოგების გადასახადის ხარჯი	(130,031)	(139,319)
წლის წმინდა მოგება	6,085,954	5,770,324
სხვა სრული შემოსავალი	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	6,085,954	5,770,324

შპს ნავნე

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)


5. ინფორმაცია ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების შესახებ (გაგრძელება)

	2022	2021	ცვლილება
საერთო მოგების მარჟა (საერთო მოგება/ამონაგები)	63%	66%	-3%
წმინდა მოგების მარჟა (წმინდა მოგება/ამონაგები)	23%	26%	-3%
აქტივებზე უკუგება (წმინდა მოგება/მთლიანი აქტივები)	36%	48%	-12%
კაპიტალზე უკუგება (წმინდა მოგება/მთლიანი კაპიტალი)	71%	176%	-105%

ქვემოთ მოცემულია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის კოეფიციენტები (ლარებში).

ფინანსური კოეფიციენტები	2022	2021
სულ აქტივები	16,836,653	11,827,611
სულ ვალდებულებები	8,215,032	8,555,103
კაპიტალი	8,621,621	3,272,508

კომპანიის მიერ მიღებული შემოსავლები ბოლო ორი წლის განმავლობაში თვეების მიხედვით ასე გამოიყურება



დირექტორი: ეკატერინე ნადირაძე

ხელმოწერა:

შპს „ნავნე“

30 ნოემბერი, 2023

თბილისი, საქართველო

შპს ნავნე

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

5. ინფორმაცია ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების შესახებ (გაგრძელება)

	2022	2021	ცვლილება
საერთო მოგების მარჟა (საერთო მოგება/ამონაგები)	63%	66%	-3%
წმინდა მოგების მარჟა (წმინდა მოგება/ამონაგები)	23%	26%	-3%
აქტივებზე უკუგება (წმინდა მოგება/მთლიანი აქტივები)	36%	48%	-12%
კაპიტალზე უკუგება (წმინდა მოგება/მთლიანი კაპიტალი)	71%	176%	-105%

ქვემოთ მოცემულია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის კოეფიციენტები (ლარებში).

ფინანსური კოეფიციენტები	2022	2021
სულ აქტივები	16,836,653	11,827,611
სულ ვალდებულებები	8,215,032	8,555,103
კაპიტალი	8,621,621	3,272,508

კომპანიის მიერ მიღებული შემოსავლები ბოლო ორი წლის განმავლობაში თვეების მიხედვით ასე გამოიყურება



დირექტორი: ეკატერინე ნადირაძე

ხელმოწერა:

შპს „ნავნე“

30 ნოემბერი, 2023

თბილისი, საქართველო